ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5951072

ნომერი: AR1898412

თარიღი : 16.05.2022

გაცემის თარიღი : 23.05.2022

გაცნობის თარიღი : 27.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ კორპ.N2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ლეკიაშვილი პ/ნ 01010004306
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 217 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 მაისს №AR1898412 განცხადებით მომართა პაატა ლეკიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 13

დეკემბრის №5723097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ, კორპ. №2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.028), საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 13 დეკემბრიდან 2022 წლის 13 თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 33.44 კვ.მ-ის ნაცვლად 83.40 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 14.11 კვ.მ-ის ნაცვლად 139.41 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 123.83 კვ.მ-ის 66.78 კვ.მ-ის, პალატების ფართობად 113.39 კვ.მ-ის ნაცვლად 160.46 კვ.მ-ის, საორდინატოროებისა და საოპერაციოების ფართობად 223.1 კვ.მ-ის ნაცვლად 225.04 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 507.87 კვ.მ-ის ნაცვლად 675.09 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები, ასევე შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აგრეთვე, +0.00 და +3.20 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 83.40 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 139.41 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 66.78 კვ.მ., პალატების ფართობად - 160.46 კვ.მ., საორდინატოროებისა და საოპერაციოების ფართობად - 225.04 კვ.მ., საერთო ფართობად - 675.09 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 და +3.20 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 დეკემბრის №5723097 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.